



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### კერვალიშვილი პაატა ჯამლეთის ძე

კერვალიშვილი პაატა ჯამლეთის ძე (დ. 17. IX. 1949, თბილისი), ინჟინერ-ფიზიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1985), პროფესორი (1989). საქართვე. საინჟინრო აკად. პრეზიდიუმის წევრი (1995). დაამთავრა სპი-ის საინჟინრო-ფიზ. ფაკ-ტი (1971), მოსკოვის უცხო ენათა ინ-ტის ინგლ. ენის ფაკ-ტი (1976). მუშაობდა სსრკ ატომური ენერჯის სახელმწ. კომიტეტის სხვადასხვა სამეცნ.-ტექნოლ. ცენტრში – სოხუმის ფიზიკა-ტექ. ინტში (1970–71); სტაბილური იზოტოპების ინ-ტში (1971–75, 1981– 93); „გირედმეტში“ (1975–80); ი. კურჩატოვის ატომური ენერჯის ინ-ტში (1982–91); ხელმძღვანელობდა სამეცნ. და სამრეწვ.-ტექნოლ. თემებს, პროექტებსა და პროგრამებს საქართველოს პარლამენტსა და მთავრობაში (1993– 2000).

1991-იდან კ. მუშაობს სტუ-სა და თსუ-ში. ხელმძღვანელობს საერთ. სამეცნ.-ტექნოლოგიურ პროექტებს. მიწვეული იყო პროფესორად აშშ-ის და ევროპის უნ-ტებში (1991–2015).

კ. 400-მდე სამეცნ. ნაშრომის და გამოგონების ავტორია, რიგი მისი გამოგონებებისა დანერგილია წარმოებაში. მისი სამეცნ. ინტერესების სფეროა მყარი სხეულისა და ნახევარგამტარების ფიზიკა; ინფორმატიკა და კომპიუტერული ტექნოლოგიები; ნანოსისტემების ფიზიკა.

კ. არის საქართვე. საბუნებისმეტყველო მეცნ. აკად. პრეზიდენტი, ევროპისა და ხმელთაშუა - ზღვის ხელოვნებისა და მეცნ. აკად. პრეზიდენტი (2010). საქართვე. ეკოლ. მეცნ. აკად. (1997) და ევროპის საბუნებისმეტყველო მეცნ. აკად. წევრი (2003). სხვადასხვა დროს იყო რამდენიმე საერთაშ. კომისიის წევრი, მუშაობდა ნატოს სამეცნ.- ტექნოლოგიურ საბჭოში (1995– 2000).

კ-ს მიღებული აქვს სსრკ ახალგაზრდა მეცნიერთა პრემია ფიზიკაში (1978); ევროპის აკადემიის ოქროს არწივის ორდენი (2004); ათენის უნ-ტის უმაღლესი ჯილდო (2008), ვ. ვერნადსკის ვარსკვლავი (2008) და სხვ.

*თბზ.*: О поведении примеси лития в карбиде бора, «Атомная энергия», 1981, т. 751, вып. 2; Semiconducting Nanostructures – Materials for Spintronics, «Nanotechnology Perceptions», 2005, vol. 1, №3; Nuclear Radiation Nanosensors and Nanosensory Systems, Springer, 2016 (თანაავტ. Panayotis H. Yannakopoulos).

---